

ზოგადი ნებართვით გამოსაყენებლად განსაზღვრულ რადიოსიხშირულ სპექტრში სამოქალაქო დიაპაზონის მოწყობილობებისადმი ინტერფერისის მოთხოვნები

ევროკომისია ევროპის საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების კონფერენციის (CEPT)-ისა და ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI)-ის მეშვეობით განსაზღვრავს გარკვეული სიხშირული ზოლების გამოყენებას კავშირგაბმულობის სხვადასხვა სამსახურების მიზნებისათვის, ზღუდავს მათ მიერ გამოყენებული ტექნიკური პარამეტრების მნიშვნელობებს და იძლევა დირექტივებს რათა თავიდან იქნას აცილებული რადიოხელშეშლები. აღნიშნული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ზოგადი ნებართვით გამოსაყენებლად განსაზღვრულ რადიოსიხშირულ სპექტრში სამოქალაქო დიაპაზონის (CB) რადიომოწყობილობების მიმართ ინტერფერისის მოთხოვნების დეტალები (სიხშირული ზოლი, მაქსიმალური დასაშვები გასხივებული სიმძლავრე/ველის დამაბულობა, სპექტრზე დაშვება და მოთხოვნები ხელშეშლების შემცირების მიზნით) გაწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 1.

CB რადიო წარმოადგენს მოკლე დისტანციზე მოქმედ რადიო საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც იყენებს 40 არხს 27 მჰც სიხშირულ დიაპაზონში და ეს ზოლი ერთდროულად გამოიყენება მრავალი მომხმარებლის მიერ.

ცხრილის ბოლო ორ სვეტში წარმოდგენილია შესაბამისი ევროპული სტანდარტები (EN აღნიშვნით), CEPT-ის ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტის (ECC) და ევროპის რადიოსაკომუნიკაციო კომიტეტის (ERC) მიერ მიღებული გადაწყვეტილება (DEC) და რეკომენდაცია (REC). მომავალში აღნიშნული ევროპული ორგანიზაციების დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებები ეტაპობრივად უნდა იქნას ასახული წინამდებარე დოკუმენტშიც.

ცხრილი 1. ინტერფეისის მოთხოვნები სამოქალაქო დიაპაზონის რადიომოწყობილობებისათვის

ძირითადი მოთხოვნები		ინფორმაცია		
სიხშირული ზოლი	მაქსიმალური დასაშვები გასხივებული სიმძლავრე /ველის დამაბულობა	სპექტრზე დაშვება და მოთხოვნები ხელშეშლების შემცირების მიზნით	გამოყენებული სტანდარტები	შესაბამისი დოკუმენტაცია / სხვა შენიშვნები
26960-27410 კჰც	მაქსიმუმ 4 ვტ კუთხური მოდულაციისათვის და DSB-თვის, მაქსიმუმ 12 ვტ SSB-თვის.	დაკავებული ზოლის მაქსიმუმი: 10 კჰც	EN 300 135 EN 300 433	გამოიყენება კუთხური მოდულაცია ან ამპლიტუდური მოდულაცია ორი გვერდითი ზოლით (DSB – Double Side Band) ან ამპლიტუდური მოდულაცია ერთი გვერდითი ზოლით (SSB – Single Side Band). ECC/DEC/(11)03 ERC/REC 70-03